



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER  
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-14/5198  
30/05/2023

5198-15-14-2-202305301514



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს  
ბატონ ვახტანგ გომელაურს

**წინადადება**

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილ თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

2023 წლის 11 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე [REDACTED], მისი არასრულწლოვანი შვილის, [REDACTED], მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ შესაძლო უკანონო ქმედებების თაობაზე.

**ფაქტობრივი გარემოებები**

- [REDACTED] განმარტება

[REDACTED] განცხადების თანახმად, 2022 წლის 3 დეკემბერს მისი 16 წლის შვილის მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს [REDACTED] პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა განახორციელეს უკანონო ქმედება.

განცხადებას თან ახლდა [REDACTED] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის გასაუბრების ოქმი. ოქმის მიხედვით, 2022 წლის 3 დეკემბერს [REDACTED] მის მამასთან, [REDACTED] ერთად, რომელიც იყო დაჭრილი, იმყოფებოდა [REDACTED]. განთავსებული იყო კლინიკის პირველ სართულზე, სადაც სამედიცინო პერსონალი უმუშავებდა არსებულ დაზიანებას. ამ დროს კლინიკაში მივიდნენ პოლიციის წარმომადგენლები, იმყოფებოდნენ დერეფანში, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა [REDACTED]

მიმართა „შენი ჭირი მე მოდი აქ.“ მისვლის შემდეგ მას სთხოვა გაჰყვოდო. ვინაიდან არ იცოდა საკუთარი (არასრულწლოვნის) უფლებები, პოლიციის თანამშრომელს გაჰყვა კლინიკის ეზოში. თავიდანვე უთხრა და განუცხადა სამართალდამცავებს, რომ იყო არასრულწლოვანი, თუმცა მისთვის არ განუმარტავთ უფლებები, ისე ჩასვეს (ძალის გამოყენების გარეშე) პიკაპის ტიპის ავტომობილში, უკანა სავარძელზე, წინ კი დაჯდა პოლიციის ორი თანამშრომელი.

გასაუბრების ოქმის მიხედვით, პოლიციის თანამშრომლებმა ავტომანქანით მიიყვანეს პოლიციის სამმართველოს შენობასთან. ავტომანქანაში დაუსვეს კითხვები მამის სხეულზე არსებულ დაზიანებასთან დაკავშირებით და უთხრეს, რომ გადაეცა იმ ბინის გასაღები, რომელშიც ცხოვრობდა აღნიშნულზე არასრულწლოვანმა უარი განუცხადა პოლიციის თანამშრომლებს, თუმცა განუმარტეს, რომ ასეთ შემთხვევაში, ძალის გამოყენებით შევიდოდნენ ბინაში. ვინაიდან მან აღნიშნული აღიქვა რეალურად, გადასცა სამართალდამცავებს გასაღები.

გასაუბრების ოქმის მიხედვით, პოლიციის ავტომობილში ყოფნის დროს ტელეფონზე დაურეკა მისმა მამამ, დაუწყო საუბარი, თუმცა სამართალდამცავებმა ოდნავ მაღალი ტონით მოსთხოვეს გამოერთო ტელეფონი. პოლიციის სამმართველოს წინ ავტომანქანაში ყოფნის დროს მათთან მივიდა რამდენიმე სამართალდამცავი, მათ შორის, როგორც უთხრეს, სამმართველოს უფროსი, რომელიც დაჯდა ავტომობილში და წავიდნენ კვლავ კლინიკაში მიმართულებით. მისვლის შემდეგ, სამმართველოს უფროსი გადავიდა ავტომობილიდან, თუმცა მასთან დარჩა ერთ-ერთი პოლიციელი და მიუხედავად მისი სურვილისა, არ მისცეს უფლება გადასულიყო მანქანიდან. დაახლოებით 2 წუთში პოლიციის თანამშრომელმა დაძრა ავტომობილი და წაიყვანა კვლავ პოლიციის სამმართველოს შენობასთან. ადგილზე გაჩერდნენ დაახლოებით 10 წუთი, შემდეგ კი, კვლავ მიიყვანა კლინიკაში შენობასთან და განუცხადა, რომ შეეძლო გადასულიყო. ადგილზე დახვდა პოლიციის სხვა თანამშრომელი, რომელმაც უთხრა დაერეკა მისი დედისთვის, რადგან ნერვიულობდა, რაზედაც უპასუხა, რომ პოლიციელების მოთხოვნით ჰქონდა ტელეფონი გამორთული.

გასაუბრების ოქმის მიხედვით, მიუხედავად იმისა, მის მიმართ რაიმე სახის შეურაცხყოფას ადგილი არ ქონია, მასზე ძალიან იმოქმედა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულმა ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ, იყო შეშინებული, დაეწყო კანკალი. მისი განმარტებით, პოლიციის თანამშრომლებს რაიმე დოკუმენტი გასაღების გამორთმევის ან მასთან გასაუბრების დროს არ შეუდგენიათ. ის პოლიციის თანამშრომლებმა წაყვანიდან დააბრუნეს ერთ საათამდე პერიოდში.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან დამატებით, სატელეფონო საუბრის დროს, აღნიშნა, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ მისი არასრულწლოვანი შვილის კლინიკაში დაწვევანის დროს მასთან ერთად იმყოფებოდა ასევე, ნათლია და კლინიკის არაერთი თანამშრომელი.

- ე.წ. წინასაგამოძიებო საქმის მასალები სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გადაწყვეტილებით, ვინაიდან [REDACTED] გასაუბრების ოქმის საფუძველზე, არ გამოიკვეთა „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული, აგრეთვე, „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანებით გათვალისწინებული, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულ(ებ)ის ნიშნები, კომპეტენციის ფარგლებში, რეაგირების მიზნით, [REDACTED] გასაუბრების ოქმი გადაეგზავნა<sup>1</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

- შსს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება მითითებულ საკითხთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალების მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა<sup>2</sup> გენერალურ ინსპექციას.

მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ [REDACTED] მისი არასრულწლოვანი შვილის მიმართ განხორციელებული შესაძლო უკანონო ქმედების თაობაზე ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე დააფიქსირა 2022 წლის 5 დეკემბერს.<sup>3</sup> გენერალური ინსპექციიდან შეტყობინება გადაეგზავნა<sup>4</sup> სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

საგულისხმოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ გენერალურ ინსპექციას 2022 წლის 5 დეკემბერს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ შესაძლო გადაცდომის ფაქტზე ინფორმაცია მიღებული ჰქონდა, ამასთან, 2022 წლის 7 დეკემბერს სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან დამატებით ეცნობა გამოძიების არ დაწყების შესახებ და გადაეგზავნა [REDACTED] გასაუბრების ოქმი, 2022 წლის 28 დეკემბრამდე არ ჩაუტარებია რაიმე მოქმედება შესაძლო გადაცდომის გამოვლენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სამსახურებრივი შემოწმების მასალების თანახმად, შემოწმება დასრულდა ერთ დღეში - 2022 წლის 28 დეკემბერს, როდესაც მოხდა [REDACTED] პოლიციის სამმართველოს 4 თანამშრომლის მიმართ ახსნა-განმარტების ჩამორთმევა. როგორც აღინიშნა, 28 დეკემბრამდე არ განხორციელებულა რაიმე მოქმედება და 28 დეკემბერსვე [REDACTED] წერილობით<sup>5</sup> ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის [REDACTED] რაიონული

<sup>1</sup> 2022 წლის 7 დეკემბრის NSIS 6 22 00016277 წერილი.

<sup>2</sup> 2023 წლის 6 თებერვლის N15-14/1225 წერილი.

<sup>3</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის N MIA 7 22 03423466 შეტყობინება.

<sup>4</sup> 2022 წლის 8 დეკემბრის N MIA 3 22 03463314 წერილი.

<sup>5</sup> 2022 წლის 28 დეკემბრის N MIA 8 22 03686439 წერილი.

სამმართველოს მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტმა დადასტურება ვერ ჰპოვა.

ცალკე აღსანიშნავია, სამსახურებრივი შემოწმების მასალებში [REDACTED] პოლიციის სამმართველოს 4 თანამშრომლის მიმართ ჩამორთმეული ახსნა-განმარტების შინაარსი.

პოლიციის თანამშრომლები - [REDACTED] უარყოფენ [REDACTED] კლინიკა [REDACTED] დან გამოყვანის და ავტომობილში ჩასმის, საცხოვრებელი სახლის გასაღების ჩამორთმევის და ზოგადად, მისთვის კითხვების დასმის ფაქტს. აღნიშნავენ, რომ მათ კლინიკაში ჰქონდათ მცდელობა არასრულწლოვანს გასაუბრებოდნენ, თუმცა, იქვე მყოფმა [REDACTED] და [REDACTED] განუმარტეს, რომ მათი შვილი იყო არასრულწლოვანი და კატეგორიულად მოითხოვეს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე არ გასაუბრებოდნენ მას. შესაბამისად, სამართალდამცავების განმარტებით, არასრულწლოვანთან რაიმე სახის კომუნიკაციას ადგილი არ ჰქონია.

ნიშნდობლივია, რომ პოლიციის თანამშრომლების ოთხივე ახსნა-განმარტება შედგენილია იდენტური სიტყვებით, წინადადებებით, მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებით, რაც საფუძვლიანს ხდის ეჭვს, რომ გამოკითხვა არ მიმდინარეობდა ობიექტურად, არასრულწლოვნის უფლების შესაძლო დარღვევის გამოსავლენად, არამედ, ის წარმართა სამსახურებრივი შემოწმების ფორმალურად დასრულების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, [REDACTED] პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების გამოკითხვის გარდა, არ არის ჩატარებული არც ერთი სხვა მოქმედება, მათ შორის, ახსნა-განმარტება არ ჩამოურთმევიათ [REDACTED] პოლიციის თანამშრომლების მიერ არასრულწლოვანის წაყვანის თვითმხილველი [REDACTED] ნათლის [REDACTED] კლინიკა [REDACTED] არც ერთი თანამშრომლისთვის. სრულყოფილად არ გადამოწმებულა [REDACTED] შეტყობინებაში დაფიქსირებული არც ერთი გარემოება, არ გადამოწმებულა [REDACTED] მობილური ტელეფონის მითითებულ პერიოდში გამორთვის ფაქტი, არ გადამოწმებულა [REDACTED] და პოლიციის შესაბამისი თანამშრომლების გადაადგილების მარშრუტი ვიდეო კამერების და სატელეფონო ანძების მეშვეობით. არ განხორციელებულა ხსენებული დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მცდელობაც კი.

### **სამართლებრივი დასაბუთება და წინამდებარე საქმის ანალიზი**

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა სახელმწიფოს განსაკუთრებულ ვალდებულებას წარმოადგენს. სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების არასრულწლოვანთან ნებისმიერმა კანონსაწინააღმდეგო შემხებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს მძიმე ფსიქოლოგიური შედეგი, ამასთან, წარმოადგენდეს კანონმდებლობის უხეშ დარღვევას.

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ თანახმად, არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვა მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით ტარდება.<sup>6</sup> ამასთან, ნებისმიერი სახის არაფორმალური თავისუფლების შეზღუდვა, თუნდაც არ ატარებდეს ძალადობრივ ხასიათს, წარმოადგენს როგორც შიდა კანონმდებლობის, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევას და საჭიროებს მყისიერ რეაგირებას სათანადო ორგანოების მხრიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად ადგენს, რომ პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან.<sup>7</sup> ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ტრადიციული შეხედულებაა, რომ პირის ფაქტობრივად „დაკავება“, რომელიც არ არის აღიარებული, არის კონვენციის მე-5 (1) მუხლით დაცული ფუნდამენტური გარანტიების აბსოლუტური უგულებელყოფა და წარმოადგენს ამ დებულების ყველაზე სერიოზულ დარღვევას.<sup>8</sup>

მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებს ყველა პოლიციელს თავის საქმიანობაში განუხრელად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპები.<sup>9</sup>

პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.<sup>10</sup> საპოლიციო ღონისძიების განხორციელებისას დაუშვებელია წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.<sup>11</sup>

პოლიციელის მიერ საპოლიციო ღონისძიების პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.<sup>12</sup>

სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ამოცანას წარმოადგენს.<sup>13</sup>

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან

<sup>6</sup> „საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ“, მუხ. 52, ნაწ. 3.

<sup>7</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 170, ნაწ. 2.

<sup>8</sup> ფედოტოვი რუსეთის წინააღმდეგ, 5140/02, პარ. 78.

<sup>9</sup> საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მუხ. მე-8, პ. 1.

<sup>10</sup> იქვე, მუხ. მე-9, პ. 1.

<sup>11</sup> იქვე, მუხ. მე-9, პ. 2.

<sup>12</sup> იქვე, მუხ. მე-8, პ. 2.

<sup>13</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხ. 2, ქვეპ. „ბ“.

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.<sup>14</sup>

გენერალური ინსპექციის კომპეტენციაა ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიულ ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების, აგრეთვე, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული/განთავსებული ვიდეოტექნიკის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება.<sup>15</sup>

კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება, სამწუხაროდ, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

მოცემული საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთი მხრივ, თავად [REDACTED] და კლინიკა [REDACTED]-დან მისი შესაძლო გაყვანის ფაქტის შემსწრე პირების ([REDACTED] სამედიცინო პერსონალი) მიმართ ახსნა-განმარტების ჩამორთმევის, მეორე მხრივ, კი, [REDACTED] და პოლიციის შესაბამისი თანამშრომლების მითითებული დროის მონაკვეთში გადაადგილების მარშრუტის დადგენის, ასევე, [REDACTED] პოლიციის სამმართველოს შენობის თუ სხვა ადგილიდან ვიდეო მეთვალყურეობის მასალის გაცნობის, [REDACTED] მობილური ტელეფონის გამორთულ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტის დადგენის გარეშე დატოვებით, გენერალურმა ინსპექციამ არ/ვერ შეასრულა მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება. აღნიშნულით, კი დაირღვა მოქალაქის - არასრულწლოვანი პირის უფლებები.

გენერალურ ინსპექციას სრულყოფილად და არა მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების მიმართ ახსნა-განმარტების ჩამორთმევით უნდა შეემოწმებინა მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი კლინიკა [REDACTED]-დან არასრულწლოვან [REDACTED] გაყვანას, ავტომობილში ჩასმას და 1 საათამდე (თუნდაც უფრო ნაკლებ) დროის მანძილზე სხვადასხვა ადგილზე, მათ შორის, პოლიციის სამმართველოს შენობის წინ, გადაყვანას, საცხოვრებელი სახლის გასაღების ჩამორთმევას, კონკრეტული შესაძლო დანაშაულის ირგვლივ კითხვების დასმას და სხვა სახის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას.

ამრიგად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება ცალსახად უნდა ჩაითვალოს არასრულყოფილად. არ არის მოპოვებული არც ერთი ნეიტრალური და საქმისთვის

<sup>14</sup> იქვე, მუხ. 9, პუნქ. 2.

<sup>15</sup> იქვე, მუხ. 3, პუნქტ. 8<sup>2</sup>.

მნიშვნელოვანი მტკიცებულება, უფრო მეტიც, არ იკვეთება ასეთი მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი. კერძოდ:

- არ არის გამოკითხული უშუალოდ სავარაუდო უფლებადარღვეული პირი - [REDACTED]
- არ გამოკითხულან ის პირები,<sup>16</sup> რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ არასრულწლოვან [REDACTED] მიმართ განხორციელებული შესაძლო უკანონო ქმედების შესახებ;
- არ არის მოპოვებული და შესწავლილი [REDACTED] პოლიციის სამმართველოს გარე მეთვალყურეობის კამარების და სხვა ადგილებიდან ვიდეოჩანაწერები, რასაც ასევე, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა საქმის საბოლოო შედეგზე;
- არ არის გამოკვლეული [REDACTED] (მისი თანხმობით) და შესაბამისი პოლიციის თანამშრომლების მითითებულ პერიოდში გადაადგილების მარშრუტი სატელეფონო ანძების მეშვეობით;
- არ არის გამოკვლეული [REDACTED] (მისი თანხმობით) კუთვნილი მობილური ტელეფონის მითითებულ პერიოდში ქსელიდან შესაძლო გამორთვის ფაქტი;
- საქმის მასალების მიხედვით, არ არის მომზადებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების ამსახველი შესაბამისი დასკვნა.<sup>17</sup>

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით აშკარაა, რომ გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმება არასრულყოფილია. ყველა შესაძლო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებისა და შესაბამისი მოწმეების გამოკითხვის შემთხვევაში შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება განსხვავებული შედეგით დასრულებულიყო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ და სხვა შემთხვევაში, მოქალაქეთა საჩივრების დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი განხილვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოქალაქის უფლებების დასაცავად, არამედ, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს სამართალდამცავი უწყების თანამშრომლის მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციისთვის. ამავდროულად, ხელს უწყობს საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მუშაობის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებდა სახალხო დამცველი ჯერ კიდევ წლების წინ თავის სპეციალურ ანგარიშში, მათ შორის, საქმეებში ნეიტრალური მტკიცებულებების პრაქტიკულად არარსებობის და შესაძლო დამატებითი მტკიცებულებების მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მოპოვებაზე.<sup>18</sup> იგივე პრობლემაზე იყო საუბარი სხვადასხვა ანგარიშებში.<sup>19</sup> სამწუხაროა,

<sup>16</sup> [REDACTED] კლინიკა [REDACTED] თანამშრომლები.  
<sup>17</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხ. 9, ქვეპ. „5“.  
<sup>18</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“, ხელმისაწვდომია: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf>>.  
<sup>19</sup> მაგ. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 65-66, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf>>, აგრეთვე, სისხლის სამართლის

რომ ამ მიმართულებით გამოწვევები ისევ რჩება, რისი ნათელი სურათიც სწორედ ეს საქმეცაა.

**დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის იმ თანამშრომლის/თანამშრომლების წინააღმდეგ, ვის ვალდებულებასაც წარმოადგენდა არასრულწლოვან [REDACTED] მიმართ განხორციელებულ შესაძლო უკანონო ქმედებებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

